ხელშეკრულება №2016000533

გამარტივებული სახელმწიფოშესყიდვისშესახებ

29 ოქტომბერი 2016 წ.

ქალაქი ახალციხე

ერთის მხრივ, **სსიპ ნაქალაქევის საჯარო სკოლა** (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი კაველიძეს** სახით და მეორეს მხრივ, **შპს მეგა შოპი (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი წარმომადგენლის სერმან მურჯიკნელის** სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია: 2 ცალი კარტრიჯი 278/728/328 Universal **ერთეულის ღირებულება 25 ლარი,** 1 ცალი კარტრიჯი fx10/Q2612A/12A Universal **ერთეულის ღირებულება 25 ლარი** (CPV **კოდი**:30125100).

მუხლი2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 75 **ლარს.**

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1.საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით და სასაქონლო ზედნადებით.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს გაყიდვის ადგილზე ხელშეკრულების დადებიდან ათი სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი და სათანადოდ შეფუთული, საქონელი.

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა ან შეკეთება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ისოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ისოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. იმშემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტი სმომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3. ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

მუხლი7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით

თუ ერთ-ერთი მხარეფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია ...ოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და ...რულების შესახებ. წინააღმდეგშემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდებაფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2.ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმისწარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთ შეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინე ბაძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი11. გადასახადები და დაბეგვრა

11. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2016 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.**

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

14.3 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მიმწოდებელი	შემსყიდველი
შპს მეგა შოპი მისამართი: 0800; ქ. ახალციხე, ნიკოლაძის N39 საიდენტიფიკაციო კოდი: 400058085 საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. "საქართველოს ბანკი" ბანკი საბანკო კოდი: BAGAGE22 ანგარიშსწორების ანგარიში: GE91BG0000000857045000 ტელეფონი: 593399253	სსიპ ნაქალაქევის საჯარო სკოლა მისამართი: 0503, ასპინძა, სოფელი ნაქალაქევი საიდენტიფიკაციო კოდი: 223104307 ტელეფონი: 591953955
----------სერმან მურჯიკნელი	დირექტორი ----------გიორგი ჯაველიძე

აქტი

მიღება–ჩაბარების შესახებ

ქალაქი ახალციხე

29 ოქტომბერი 2016 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ,ერთის მხრივ სსიპ ნაქალაქევის საჯარო სკოლა მისი დირექტორის გიორგი კაველიძეს სახით (შემდგომში შემსყიდველი), ხოლო მეორეს მხრივ შპს „მეგა შოპი" (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი წარმომადგენლის სერმან მურჯიკნელის სახით, ვადასტურებთ, რომ 2016 წლის 29 ოქტომბერის N 2016000533 გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შემსყიდველმა ჩაიბარა 75 ლარის ღირებულების საქონელი.

მხარეთა იურიდიული მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები:

მიმწოდებელი

შპს მეგა შოპი
მისამართი: 0800; ქ. ახალციხე, ნიკოლაძის N39
საიდენტიფიკაციო კოდი: 400058085
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. "საქართველოს ბანკი" ბანკი
საბანკო კოდი: BAGAGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: GE91BG0000000857045000
ტელეფონი: 593399253

----------**სერმან მურჯიკნელი**

შემსყიდველი

სსიპ ნაქალაქევის საჯარო სკოლა
მისამართი: 0503, ასპინძა, სოფელი ნაქალაქევი
საიდენტიფიკაციო კოდი: 223104307
ტელეფონი: 591953955

დირექტორი
----------**გიორგი კაველიძე**